ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N 22

19 დეკემბერი 2025 წელი

დ.ხარაგაული 56-00

9 აპრილის ქუჩა #15

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ „ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე - 4 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N33 დადგენილებაში. **(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, 22/12/2022 სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.128.016480).**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებულ #1 დანართში და დანართის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:
„1. განისაზღვროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების(გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა თვეში არაუმეტეს 1032 (ათასოცდათორმეტი) ლარისა.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის პირველი იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე